

ბალანსის უწყისი 30-09-2025 მდგომარეობით

თანხები მოცემულია ერთეულ ლარებში	შენიშვნა	30-09-2025	30-09-2024
აქტივები ფული და ფულის ექვივალენტები	6	16,980	564,255
ფინანსური აქტივები (ინვესტიცია ფონდში - რეალური ღირებულებით მოგება/ზარალში ასახვით)	7	585,580	-
მოკლევადიანი მოთხოვნები		-	-
საგადასახადო აქტივი		-	-
ძირითადი საშუალებები	8	6,219	7,533
ინვესტიციები		-	-
არამატერიალური აქტივები	9	5,000	5,000
გაცემული ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი		-	2,500
სულ აქტივები		613,779	579,288
ვალდებულებები	10	2,132	716
საიჯარო ვალდებულება		-	-
სხვა ვალდებულებები		1,450	1,177
სულ ვალდებულებები		3,582	1,893
საწესდებო კაპიტალი	11	190,048	174,048
გაუნაწილებელი მოგება (ზარალი)		35,337	18,141
ინვესტიციების გადაფასების რეზერვი		-	-
სუბორდინირებული სესხი	12	384,812	385,206
სულ კაპიტალი		610,197	577,395
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		613,779	579,288

მოგება ზარალის უწყისი 01-01-2025-დან 30-09-2025 ჩათვლით

თანხები მოცემულია ერთეულ ლარებში	შენიშვნა	30-09-2025	30-09-2024
შემოსავალი გაწეული მომსახურებიდან	13	343,013	141,347
სულ საოპერაციო შემოსავალი		343,013	141,347
ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული ხარჯები		-	-
პერსონალის ხარჯები		-	-
ადმინისტრაციული ხარჯები		-	-
ცვეთა და ამორტიზაცია		-	-
სხვა ხარჯები	14	(14,628)	(40,650)

სულ საოპერაციო ხარჯები		(14,628)	(40,650)
საოპერაციო მოგება (ზარალი)		328,385	100,697
საპროცენტო შემოსავალი		13,430	7,567
საკურსო სხვაობიდან მიღებული მოგება (ზარალი)		(22,374)	3,452
სხვა არასაოპერაციო მოგება (ზარალი)		-	-
არასაოპერაციო მოგება (ზარალი)		(-8,944)	11,019
მოგება დაბეგვრამდე		319,441	111,716
გადასახადები	15	(51,824)	(15,972)
წმინდა მოგება		267,617	95,744

ფულადი სახსრების მოძრაობა 01-01-2025-დან 30-09-2025 ჩათვლით

თანხები მოცემულია ერთეულ ლარებში	30-09-2025	30-09-2024
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
წმინდა მოგება	267,617	95,744
საოპერაციო მოგება საბრუნავი კაპიტალის ცვლილებამდე	267,617	95,744
სხვა დებიტორული დავალიანების შემცირება (ზრდა)	84	-
სხვა ვალდებულებების ზრდა (შემცირება)	(4,818)	(5,478)
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი სახსრები	(4,734)	(5,478)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	262,883	90,266
ინვესტიციების შემცირება (ზრდა)	(77,953)	-
ძირითადი საშუალებების შემცირება (ზრდა)	-	(184)
არამატერიალური აქტივების (ზრდა) შემცირება	-	-
რეალიზებადი ფასიანი ქაღალდების (ზრდა) შემცირება	-	-
გაცემული დივიდენდი	(217,400)	(67,000)
გადაფასების რეზერვი ზრდა (შემცირება)		
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(295,353)	(67,184)
კაპიტალის ზრდა (შემცირება)	16,000	-
სუბორდინირებული სესხების ზრდა (შემცირება)	-	382,230

წმინდა ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან	16,000	382,230
ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტების ცვლილება	(16,470)	405,312
ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	33,450	158,943
ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	16,980	564,255

საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 01-01-2025-დან 30-09-2025 ჩათვლით

	საწესდებო კაპიტალი	სუბორდინ ირებული სესხი	გაუნაწილ ებელი მოგება	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 01/01/2025 მდგომარეობით	174,048	384,812	(14,880)	543,980
ბრუნვა 01/01/2025-დან 30/09/2025-ის ჩათვლით	16,000	-	50,217	66,217
ნაშთი 30/09/2025 მდგომარეობით	190,048	384,812	35,337	610,197

საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 01-01-2024-დან 30-09-2024 ჩათვლით

	საწესდებო კაპიტალი	სუბორდინ ირებული სესხი	გაუნაწილ ებელი მოგება	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 01/01/2024 მდგომარეობით	174,048	2,976	(10,603)	166,421
ბრუნვა 01/01/2024-დან 30/09/2024-ის ჩათვლით	-	382,230	38,856	421,086
ნაშთი 30/09/2024 მდგომარეობით	177,048	385,206	18,141	577,395

შენიშვნა - 1 - ზოგადი ასპექტები

შპს „აღფა კაპიტალ ედვაიზორი“ (შემდგომში „კომპანია“) დაფუძნდა და რეგისტრირებულია საგადასახადო ორგანოში 2021 წლის 15 სექტემბერს, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია ოპერირებს საქართველოს კონსტიტუციის, ქართული კანონმდებლობისა და კომპანიის წესდების საფუძველზე. კომპანიის სარეგისტრაციო ნომერია: 405482721.

კომპანიის დამფუძნებლები არიან ირაკლი ელაშვილი და ლევან წუწუნავა, რომლებიც კომპანიაში ფლობენ შესაბამისად 75%-იან და 25%-იან წილებს. ანგარიშგების გამოცემის მომენტში საჯარო რეესტრის მონაცემების მიხედვით ირაკლი ელაშვილი და ლევან წუწუნავა არიან კომპანიის ხელმძღვანელობაზე და წარმომადგენლობაზე პასუხისმგებელი პირები. კომპანიის დირექტორი არის ირაკლი ელაშვილი.

კომპანიამ 2021 წლის 9 ნოემბერს „საქართველოს ეროვნული ბანკისგან“ მოიპოვა „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის „ა“-„დ“ პუნქტებით განსაზღვრული საქმიანობების ლიცენზია და დააკმაყოფილა ლიცენზიის მოთხოვნით განსაზღვრული მინიმუმი კაპიტალის შევსება. ხოლო 2024 წლის 6 ივნისს, კომპანიამ მოიპოვა „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის „ა“, „ბ“, „გ“, „დ“, „ე“, „ზ“, „თ“, „ლ“ და „მ“ პუნქტებით განსაზღვრული საქმიანობების ლიცენზია და დააკმაყოფილა ლიცენზიის მოთხოვნით განსაზღვრული მინიმუმი კაპიტალის შევსება. შესაბამისად, კომპანიას შეუძლია კლიენტებს შესთავაზოს სრული

საბროკერო სერვისი. კომპანია მომხმარებლებს სთავაზობს:

- სავალო ფასიანი ქაღალდებისა და დაფინანსების მოძიების მიმართულებით სრულ მომსახურებას;
- რჩევებს კორპორატიული ფინანსების მიმართულებით, შერწყმის, შესყიდვის ან გასხვისების სტრატეგიული ამოცანების დაგეგმვისა და პროექტის მართვისა და დასრულების ნაწილში;
- საკონსულტაციო მომსახურებას ინვესტიციების სტრუქტურირების და აქტივების დაცვის მიმართულებით.

კომპანია რეგისტრირებულია მისამართზე: ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალო, ლისი ვერანდა, იასამნების ქ. N5, ბ.3

შენიშვნა - 2 ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები

შპს "ალფა კაპიტალ დეველოპმენტი"-ს ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ("ფასს") შესაბამისად. საზოგადოება ჩანაწერებს აწარმოებს საქართველოს საბუღალტრო და საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით.

შენიშვნა - 3 საანგარიშო პერიოდი

საანგარიშო პერიოდი კომპანიისათვის არის კალენდარული წელი 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

შენიშვნა - 4 სამუშაო ვალუტა

კომპანიის სამუშაო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. უცხოურ ვალუტაში წარმოებული ოპერაციები გადაანგარიშდება ლარში, ოპერაციის დღისთვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსით.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებულია 2025 წლის, 30 სექტემბერს შემდეგი გაცვლითი კურსები:

30 სექტემბერი 2025

1 აშშ დოლარი/ლარი	2.7088
1 ევრო/ლარი	3.1739
1 გირვანქა/ლარი	3.6374

შენიშვნა - 5 ფინანსური ინსტრუმენტების წარდგენა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებიც კომპანიის ბალანსზე აღირიცხება, წარმოდგენილია ფულადი სახსრებით და მისი ექვივალენტებით, მოთხოვნებით და ვალდებულებებით, ფინანსური ინვესტიციებით და სხვა ვალდებულებებით

შენიშვნა - 6: ფულადი სახსრები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

შენიშვნა - 7: ფინანსური აქტივები (ინვესტიცია ფონდში - რეალური ღირებულებით მოგება/ზარალში ასახვით)

2024 წლის 10 ივნისს მპს "აღფა კაპიტალ ედვაიზორ"-მა შეიძინა ლოკალური საინვესტიციო ფონდის (შემდგომში „ფონდი“) B კლასის საინვესტიციო ერთეულები, თითო ერთეულის ღირებულებით 1 აშშ დოლარი და მას შემდეგ ახდენს ამ ფონდში ინვესტირებებს საჭიროებების შესაბამისად. ფონდი ახდენს ინვესტიციებს მოკლევადიან აშშ ხაზინის ობლიგაციებში, რომლებიც ითვლება მაღალი ლიკვიდურობისა და დაბალი რისკის მქონე ინვესტიციებად.

შენიშვნა - 8: არამატერიალური აქტივები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი არამატერიალური აქტივები წარმოადგენს განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე ლიცენზიას, რომლის ღირებულება 2025 წლის 30 სექტემბერს შეადგენს 5,000 ლარს (2024 წლის 30 სექტემბრისთვის: 5,000 ლარი).

შენიშვნა - 9: ძირითადი საშუალებები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ძირითადი საშუალებები წარმოადგენს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანიის ბალანსზე არსებულ ძირითად აქტივებს, რომლის ღირებულება 2025 წლის 30 სექტემბერს შეადგენს 6,219 ლარს (2024 წლის 30 სექტემბრისთვის: 7,533 ლარი)

შენიშვნა - 10: სუბორდინირებული სესხი

2025 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით, კომპანიას აღებული აქვს სხვა და სხვა სუბორდინირებული სესხები და მათი ნაშთი შეადგენს 384,812 ლარს (2024 წლის 30 სექტემბერი: 385,206 ლარი).

შენიშვნა - 11: საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი აღიარებულია იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლის მიერ და, შესაბამისად, 2025 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით შეადგენს 190,048 ლარს (2024 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით: 174,048 ლარი).

შენიშვნა - 12: გადასახდელი ვალდებულებები

გადასახდელი ვალდებულებები მოცემულია თვითღირებულებით, რომელიც წარმოადგენს მიღებული საქონლის ან მომსახურების სერვისის სანაცვლოდ გადასახდელ თანხებს.

შენიშვნა - 13: შემოსავალი მომსახურებიდან კომპანიის შემოსავლები 2025 წლის მესამე კვარტალში შეადგენს 343,013 ლარს, რომელიც მოიცავს შემოსავალს სხვადასხვა საბროკერო მომსახურებიდან და კორპორატიული ფინანსების მიმართულებით სხვადასხვა ფინანსური რჩევების მიცემისაგან (2024 წლის მესამე კვარტლის მაჩვენებელი იყო: 141,347 ლარი).

შენიშვნა - 14: სხვა ხარჯი

2025 წლის, მესამე კვარტლი სხვა ხარჯი შეადგენს 14,628 ლარს (2024 წლის მესამე კვარტლის შესაბამისი ხარჯი იყო: 40,650 ლარი).

შენიშვნა - 15: დაბეგვრა

კომპანიის მიმდინარე დანახარჯები, მის საქმიანობაზე გადასახადის გადასახდელად გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.



მართველი პარტნიორი